წესები და პირობები

12.06.2026

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ მოცემულ წესებსა და პირობებს (შემდგომში „**წესები**“), რომლებიც არეგულირებს თქვენ მიერ კამპანიის - **„მიიღე შესაძლებლობა დასაჩუქრდე $200-ის ღირებულების SpaceX-ის აქციებით“** ფუნქციონალის გამოყენებას. აღნიშნული **კამპანიით** სარგებლობით, თქვენ სრულად აცნობიერებთ და ეთანხმებით წინამდებარე **წესებს.**

1. კამპანიის აღწერა

1.1. **„მიიღე შესაძლებლობა დასაჩუქრდე $200-ის ღირებულების SpaceX-ის აქციებით“** (შემდგომში - „კამპანია“) არის საინვესტიციო კამპანია იმ მომხმარებლებისათვის, რომლებსაც თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმაზე აქციები ჯერ არ შეუძენიათ.

1.2. კამპანია მოქმედებს 2026 წლის 12 ივნისის 00:00 საათიდან - 2026 წლის 30 ივნისის 23:59 საათის ჩათვლით (შემდგომში - „**კამპანიის მოქმედების ვადა**“) და ვრცელდება ყოველ მე-100 (მეასე) მომხმარებელზე, რომელიც პირველად შეასრულებს წინამდებარე **წესებით** განსაზღვრულ პირობებს. **კამპანიის მოქმედების ვადის** განმავლობაში გამოვლინდება **მაქსიმუმ 25 (ოცდახუთი) გამარჯვებული.**

1.3. **კამპანიაში** მონაწილეობს მხოლოდ მომხმარებლის **პირველი** წარმატებით დასრულებული ყიდვის ტრანზაქცია. შესაბამისად, თუ მომხმარებლის პირველი ტრანზაქცია არ მოხვდება ყოველი მე-100 ტრანზაქციის რიგში, მისი შემდგომი ყიდვის ტრანზაქციები **კამპანიაში** აღარ მიიღებს მონაწილეობას.

1.4. კამპანიაში გამარჯვება ერთ მომხმარებელს შეუძლია **მხოლოდ ერთხელ.**

1.5. **კამპანიის** ფარგლებში, ინვესტიციების მომხმარებლები შპს „თიბისი კაპიტალის“ (ს/ნ 204929961) (შემდგომში - „**თიბისი კაპიტალი**“) შეძლებენ შეიძინონ სავაჭრო პლატფორმაზე ხელმისაწვდომი აქციები. ასეთი ყოველი მე-100 (მეასე) მომხმარებელი, რომელიც წარმატებით დაასრულებს აქციის ყიდვის ტრანზაქციას (**მაქსიმუმ 25 (ოცდახუთი) მომხმარებელი**) დასაჩუქრდება **200$ (ორასი) აშშ დოლარის** ღირებულების **SpaceX-ის აქციებით**.

1.6. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საჩუქრის გადაცემა მოხდება **კამპანიის მოქმედების ვადის** დასრულების შემდგომ, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

1.7. საჩუქრის დარიცხვა მოხდება თიბისის მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმის საინვესტიციო ანგარიშზე, შესაბამისი ღირებულების SpaceX-ის აქციების სახით.

2. კამპანიის ძირითადი პირობები

2.1. **კამპანია** განკუთვნილია თიბისი მობაილბანკის იმ მომხმარებლებისთვის, რომელთაც რეგისტრირებულნი არიან ინვესტიციების პლატფორმაზე, გახსნილი აქვთ საინვესტიციო ანგარიში (ან/და **კამპანიის** განმავლობაში დარეგისტრირდებიან / გახსნიან საინვესტიციო ანგარიშს) და **კამპანიის მოქმედების ვადის** დაწყებამდე არ აქვთ შესრულებული არცერთი სავაჭრო ტრანზაქცია (**კამპანიაში** ჩართვამდე არ უყიდიათ აქცია).

2.2. **კამპანიის** აქტივაცია შესაძლებელია მხოლოდ **კამპანიის მოქმედების ვადის** განმავლობაში მხოლოდ იმ მომხმარებლებისათვის, რომელთაც ჯერ მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმით არ შეუძენიათ ფასიანი ქაღალდები.

2.3. **კამპანიაში** გამარჯვებას შეძლებთ მხოლოდ ერთხელ. შესაბამისად, თითო მომხმარებლისთვის გადასაცემი საჩუქრის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს $200-ის ღირებულების SpaceX- ის აქციებს.

2.4. საჩუქრის დარიცხვა განხორციელდება ამერიკის ბირჟის სამუშაო საათების პერიოდში.

2.5. საჩუქრის სახით გადასაცემი SpaceX-ის აქციების რაოდენობა განისაზღვრება დარიცხვის მომენტისთვის ბაზარზე არსებული საბაზრო ფასის ღირებულების. საჩუქრის ჯამური ღირებულება თითო გამარჯვებულისთვის შეადგენს 200 (ორასი) აშშ დოლარის ექვივალენტს.

2.6. საეჭვო ტრანზაქციების შემთხვევაში, **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, გამარჯვებულს საჩუქარი არ გადასცეს.

2.7. **კამპანიაში** მონაწილეობისა და საჩუქრის მიღებისთვის აუცილებელია, მომხმარებელმა საინვესტიციო ანგარიში აქტიური შეინარჩუნოს საჩუქრის გადაცემის მომენტის ჩათვლით.

2.8. წინამდებარე **კამპანიის** მიზნებისთვის, „მომხმარებლად“ განიმარტება პირი, რომელსაც კამპანიის დაწყების მომენტისთვის თიბისის ინვესტიციების პლატფორმაზე არ ჰქონდა შესრულებული აქციის ყიდვის

ოპერაცია და რომელმაც 2026 წლის 12 ივნისიდან 2026 წლის 30 ივნისის ჩათვლით პირველად შეასრულა აქციის ყიდვის ტრანზაქცია.

2.9. წინამდებარე **პირობების** შესაბამისად, კამპანიის ფარგლებში დასაჩუქრდება მაქსიმუმ 25 (ოცდახუთი) მომხმარებელი. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ 25 მომხმარებელი უკვე დასაჩუქრდება **კამპანიის მოქმედების ვადის** გასვლამდე, შემდგომი ტრანზაქციები აღარ გაითვალისწინება **კამპანიის** მიზნებისთვის და აღარ მოხდება სხვა მომხმარებლები დასაჩუქრება.

3. პასუხისმგებლობა

3.1. **თიბისი კაპიტალი** არ არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის, რომელიც მოიცავს პირდაპირ, არაპირდაპირ, სპეციალურ, შემთხვევით, მიზეზ-შედეგობრივ ზიანს, რაც გამოწვეულია **კამპანიის** ან **კამპანიის** ფარგლებში შეძენილი აქციების არამართლზომიერი გამოყენებით და წინამდებარე **წესების** დარღვევით.

3.2. მომხმარებელი **წესებზე** დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **თიბისი კაპიტალს** არ ეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე პირდაპირ ან არაპირდაპირ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური, საოპერაციო ან საკომუნიკაციო შეფერხებებით (მათ შორის, დამოუკიდებელი ბროკერის, DriveWealth LLC-ის სისტემების მიერ), აგრეთვე ზიანზე/ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მომხმარებლის პროგრამული უზრუნველყოფის ან მობაილ ბანკის ვერსიის გამოყენებით, რომელიც არ არის განახლებული უახლესი ხელმისაწვდომი პროგრამით.

3.3. მომხმარებელი **წესებზე** დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს, რომ აქციებისა და მათი ფასების შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია დამოუკიდებელი ბროკერის, DriveWealth LLC-ის მიერ და **თიბისი კაპიტალი** არ იღებს პასუხისმგებლობას მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე.

3.4. მომხმარებელი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **კამპანია** არ წარმოადგენს **თიბისი კაპიტალის** მხრიდან გაცემულ საინვესტიციო, იურიდიულ ან სხვა სახის ფინანსურ რჩევას. **თიბისი კაპიტალი** პასუხისმგებლობას არ იღებს მომავალ ფინანსურ შედეგებზე და მომხმარებელი სრულად აცნობიერებს, რომ აქციების ფასის კლებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკი სრულად ეკისრება მას.

4. სხვა პირობები

4.1. წინამდებარე **წესები** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობითა და მომხმარებელსა და **თიბისი კაპიტალს** შორის გაფორმებული „თიბისი კაპიტალის ინვესტიციების გენერალური ხელშეკრულებით“.

4.2. მომხმარებელი ვალდებულია **კამპანიაში** არ ჩაერთოს ან/და **კამპანიის** ფარგლებში შეძენილი აქციები არ გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო, თაღლითური ან/და **თიბისი კაპიტალისათვის** ზიანის მომტანი მიზნებისთვის.

4.3. **თიბისი კაპიტალი** იტოვებს ცალმხრივ და უპირობო უფლებას, თავად და დამოუკიდებლად ნებისმიერ დროს შეცვალოს **წესები**, ხოლო მომხმარებელი ვალდებულია მუდმივად იცავდეს ზემოაღნიშნულს.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:

(0322) 27 27 27

Support@tbccapital.ge